



ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია
წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში

მე-13 სამხრეთკავკასიური მედიაკონფერენცია

*თავისუფალი მედიისა და გამოხატვის თავისუფლების წინაშე
მდგარი გამოწვევების მრავალსახოვნება*

6-7 ივლისი, თბილისი, საქართველო

რეკომენდაციები

წინამდებარე დოკუმენტი აჯამებს სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს 80-ზე მეტი ჟურნალისტის, მთავრობისა წარმომადგენლებისა და სამოქალაქო საზოგადოების წევრების, ბოსნია-ჰერცეგოვინას, რუსეთის ფედერაციისა და გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო ექსპერტებისა და მონაწილეების მიერ მე-13 სამხრეთკავკასიურ მედიაკონფერენციაზე შემუშავებულ რეკომენდაციებს. კონფერენცია ორგანიზებული იყო ეუთო-ს მედიის თავისუფლების საკითხებში წარმომადგენლის ოფისის მიერ 6-7 ივლისს, თბილისში.

კონფერენციის მონაწილეებმა ყურადღება გაამახვილეს რეგიონში თავისუფალი მედიისა და გამოხატვის თავისუფლების წინაშე მდგარ გამოწვევებზე და პლურალიზმისა და მედიის თავისუფლების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ეუთო-ს ფარგლებში არსებულ საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე ახალი ტექნოლოგიების, ნორმატიულ-მარეგულირებელი აქტების, კონფლიქტებისა და სხვა საკითხების გათვალისწინებით.

კონფერენციის მონაწილეები შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. ამჟამად ჟურნალისტიკა დგას მრავალი ეკონომიკური გამოწვევის წინაშე, რაც უკავშირდება იმ ადამიანების მზარდ რიცხვს, რომლებიც, საზღვრების მიუხედავად, იყენებენ მედიას იმისათვის, რომ მოიძიონ, მიიღონ და გაავრცელონ ყველა სახის ინფორმაცია და იდეები, რაც შედეგად იძლევა

მედიასაშუალებებისა და ინფორმაციის მიწოდების ახალ ფორმებს. თუმცა, ეს გამოწვევები რეალურად წარმოადგენს ინფორმაციის თავისუფლებისა და გამოხატვის თავისუფლების ახალ შესაძლებლობებს, რომელთა გამოყენება შეუძლიათ ჟურნალისტებს, ქალებსა თუ მამაკაცებს, რათა უფრო მეტი სიკეთე მოუტანონ როგორც საზოგადოებას, ისე საკუთარ პროფესიას.

2. ძალადობა და დაუსჯელობა დღესაც პრობლემას წარმოადგენს სამხრეთ კავკასიაში. შესაბამისად, ყურადღება უნდა მივაქციოთ ეუთო-ს რეგიონში დაუსჯელობის დასრულებისაკენ მიმართულ ძალისხმევას. ხელისუფლებამ უნდა დაგმოს ჟურნალისტებისა და მედიის სხვა წარმომადგენლების წინააღმდეგ მიმართული ყველა შეტევა და შევიწროვება და პასუხისმგებლობა დააკისროს ასეთი ქმედებების ჩამდენ პირებს მსგავსი ინციდენტების დაუყოვნებლივი, ეფექტიანი და დამოუკიდებელი გამოძიების ჩატარების გზით.
3. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ქალი ჟურნალისტებისა და ბლოგერების შეურაცხყოფა და შევიწროვება ინტერნეტ-რესურსების გამოყენებით, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მტრული გარემოს შექმნას ჟურნალისტიკის ახალი ფორმების მიმართ, რაც ასევე ცნობილია, როგორც სამოქალაქო ჟურნალისტიკა. საზოგადოებას უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ამ პრობლემის შესახებ; ხელისუფლებამ და ჟურნალისტების პროფესიულმა ასოციაციებმა უნდა აღიარონ არსებული პრობლემა და დაარეგულირონ იგი.
4. აზრის გამოთქმის კრიმინალიზაცია სერიოზული პრობლემაა, რაც ხელს უშლის პოლიტიკურ და საგამომიებო ჟურნალისტიკას. საჭიროა მისი აღმოფხვრა ყველგან, სადაც ასეთი მიდგომა არსებობს. მედიასაზოგადოებამ და საერთაშორისო ორგანიზაციებმა უნდა გამოიყენონ ყველა აუცილებელი საშუალება ამ მიმართულებით.
5. შეშფოთების მნიშვნელოვანი საფუძველი არსებობს იმასთან დაკავშირებით, რომ მედია მძლავრად გამოიყენება ომისა და ტერორიზმის პროპაგანდისა და ნაციონალური, რასობრივი, ეთნიკური თუ რელიგიური სიძულვილის გაღვივების მიზნით, რაც წარმოადგენს დისკრიმინაციის, მტრობისა და ძალადობის წაქეზებასა და სტიმულირებას. ამ მოვლენასთან აშკარა და შეუფარავი ბრძოლა გადაუდებელ საჭიროებას წარმოადგენს. სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფლებამ უნდა გამოყოს რესურსები რათა შეწყდეს ტერორიზმისა და სიძულვილის პროპაგანდის გავრცელება და მოხდეს მედიის ამ მიზნით შემდგომი გამოყენების პრევენცია. ამის მისაღწევად გამოყენებული უნდა იყოს ასეთი მედიასაშუალებების დაფინანსების შეზღუდვა.

6. გარდა ამისა, გამოყენებული უნდა იქნეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში არსებული მედიის თვითმარეგულირებელი ორგანიზაციების ქსელის გაძლიერებისკენ მიმართული მუდმივი ძალისხმევა, რათა წინ აღვუდგეთ ომისა და სიძულვილის პროპაგანდას. ასევე, უნდა დავეხმაროთ და თავისუფლება მივანიჭოთ ეროვნულ მედია საბჭოებს, რათა მათ ქონდეთ საშუალება, იფუნქციონირონ ეფექტიანად და პასუხისმგებლობის შეგრძნებით.
7. არსებობს განათლების შემდგომი ხელშეწყობის საჭიროება მედიასფეროში, რათა წინააღმდეგობა გავუწიოთ მედიაში არსებულ მზარდ დეზინფორმაციასა და პროპაგანდას.
8. ამავდროულად, ხელისუფლებამ არ უნდა გამოიყენოს ეროვნული უსაფრთხოება და კონტრტერორიზმი, როგორც გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის გამამართლებელი გარემოება.
9. დამოუკიდებელი სასამართლო სისტემისა და მედიის მარეგულირებელი სააგენტოების როლი ძალიან მნიშვნელოვანია კონფლიქტების არსებობის შემთხვევაში. აქედან გამომდინარე, მათი დამოუკიდებლობა გარანტირებული უნდა იყოს და ამ დამოუკიდებლობას პატივს უნდა სცემდეს ყველა სახელმწიფო და მედიის სფეროში მოღვაწე პირი, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო პოლიტიკური თუ ეკონომიკური ჩარევა.
10. მედია, რადგან იგი უკავშირდება ციფრულ სისტემას, უნდა ფუნქციონირებდეს საუკეთესო ბიზნეს მოდელებისა და პრაქტიკის მიხედვით, რათა გაუმჯობესდეს მისი სტაბილურობა და ფასეულობა საზოგადოებისათვის. ეს ახალი მოდელები უნდა მოიცავდეს ახალ შესაძლებლობებს მედიისათვის, რაც მას დაეხმარება იფუნქციონიროს, როგორც სადამკვირვებლო, დემოკრატიული ფასეულობების სადარაჯოზე მდგომმა ძალამ.
11. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს მედია პლურალიზმი, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პერიოდში.
12. არსებობს კანონმდებლობისა და პოლიტიკის გადახედვისა და, საჭიროების შემთხვევაში, მათში ცვლილებების შეტანის საჭიროება, რათა უზრუნველვყოთ, რომ გამოხატვის თავისუფლებასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეზღუდვა გაწერილია კანონით, შეესაბამება ეუთო-სა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებს და შესაბამისობაშია აუცილებლობისა და თანაზომიერების მკაცრ ნორმებთან.
13. ეუთო-ს წარმომადგენელი მედიის თავისუფლების საკითხებში უნდა დაეხმაროს მონაწილე ქვეყნებს შესაბამისი პოლიტიკისა და მარეგულირებელი აქტების

განხორციელებაში, რაც ხელს შეუწყობს გამოხატვის თავისუფლების, მედიის თავისუფლებისა და მედია პლურალიზმის გაძლიერებას სამხრეთ კავკასიაში.